

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p>	<p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@bsu.edu.ge">info@bsu.edu.ge</a></p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p>ფიზიკა</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>მეცნიერების დოქტორი ფიზიკაში</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p>	<p>სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ფიზიკა“ მოიცავს 180 კრედიტს. სასწავლო კომპონენტის მოცულობა შეადგენს 60 კრედიტს, ხოლო სამეცნიერო კომპონენტისა კი - 120. სასწავლო კომპონენტი მოიცავს ძირითად და არჩევით სასწავლო კურსებს. ძირითადი სასწავლო კურსების მოცულობა 40 კრედიტია, ხოლო არჩევითი კი 20.</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>უზრუნველყოს ფიზიკაში მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მაძიებლის ზოგადი მეცნიერული და პრაქტიკული მომზადება და მისი ჩამოყალიბება სპეციალისტად, რომელსაც შესწევს უნარი კრიტიკულად გაანალიზოს დაგროვილი ინფორმაცია გარემოში ელექტრომაგნიტური ტალღების მიღების, გავრცელების, გამოყენების, მათი ცოცხალ და/ან არაცოცხალ გარემოზე ზემოქმედების, გარემოს მახასიათებელი სტატისტიკური პარამეტრების ევოლუციური ცვლილებების და სხვ. შესახებ. შექმნან კვლევის ახალი მეთოდები, თეორიები და მიდგომები; აკადემიური ხარისხის მაძიებლის ჩართვა საერთაშორისო ინტელექტუალურ სივრცეში. დოქტორანტის მიერ შემუშავებული ინოვაციური კვლევითი მეთოდებისა და მიდგომების ასახვა საერთაშორისო რეფერირებად პუბლიკაციებში და გავრცელება სწავლების გზით; ხელი შეუწყოს ფიზიკაში მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის მაძიებელს რთული და წინააღმდეგობრივი იდეების დამოუკიდებლად გადალახვასა და შესაბამისი მიდგომების შემუშავებაში. ეფექტური გადაწყვეტილების მიღებაში. უზრუნველყოს დოქტორანტების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ მოპოვებული ცოდნის ეფექტური და შესაბამისი ფორმით წარდგენა. დოქტორანტს სამეცნიერო კვლევასთან ერთად ევალება მიღებული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვა, გადაცემა როგორც ინტერპერსონალურ ასევე პოლისტრუქტურულ კომუნიკაციაში; ხელი შეუწყოს დოქტორანტს ახალი ღირებულებების დამკვიდრების გზების ძიებაში და</p>

	<p>ინოვაციური მეთოდების შემუშავებაში.</p>
<p><b>სწავლის შედეგები</b> (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)</p>	<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება დარგობრივ კომპეტენციებს:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. ფიზიკის სხვადასხვა დარგების ატმოსფეროს რადიოფიზიკის, სტატისტიკური რადიოფიზიკის, შემთხვევითი ველის თეორიის, წყლიანი გარემოს სპექტროსკოპიისა და სხვა მიმართულებით უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა და გამოყენება, რაც ამავე სფეროებში არსებული ცოდნის გაფართოების საშუალებას იძლევა და აისახება რეფერირებადი პუბლიკაციების სახით.</li> <li>2. კვლევის ცნობილი სპეციფიკური რადიოფიზიკური და მაგნიტოოპტიკური ინოვაციური კვლევის მეთოდების ღრმა, სისტემური და უახლესი ცოდნა და გამოყენება.</li> <li>3. არსებული რადიოფიზიკური და მაგნიტოოპტიკური მიდგომებისა და მეთოდების გაცნობიერების, დასკვნის უნარი ხელახალი გააზრების, ნაწილობრივ გადაფასების გზით.</li> <li>4. გარემოს მონიტორინგისა და დიაგნოსტიკის რთული და სადავო საკითხების დამუშავება და ეფექტურად გადაცემა კოლეგებისა და ფართო საზოგადოებისათვის მათ შორის უცხო ენაზე;</li> <li>5. ახალი ღირებულებების დამკვიდრების გზების ძიება და ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური ტურისტული, ეკოლოგიური და სამეცნიერო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის ფორმირებაში წვლილის შეტანა.</li> </ol>
<p><b>შეფასების წესი</b></p>	<p><b>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</b></p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი;  ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;  გ) (C) კარგი - 71-80 ქულა;  დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა;  ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.  (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს.  (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებაში.</p>
<p><b>საკონტაქტო პირი</b></p>	<p>სრული პროფესორი ნუგზარ ლომიძე  მობ: 577 179727  e-mail: gomidze@bsu.edu.ge</p>

